კვირა 1919 წ. მარტის 9 № 54
ყოველდღიური გაზეთი

კვირა 1919 წ. მარტის 9 № 54
ფასი თბილისში კოჯვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე ალექსის ასული, ძმები: იაგორ და მიხეილ ქიმერიძეები, და მარია ივანეს ასული, სიძე ზაქარია იოსების ძე აბრამაშვილი შვილებითურთ, ბიძია გაბრიელ ალექსის ძე შვილებით, და რძალი, ოლღა ზაქარიას ასული ქიმერიძისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 10 მარტს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის 5 კურსის სტუდენტის

ილია ივანეს ძე ქიმერიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ, მიცვალებულის საფლავზე იმავე ეკლესიის გალავანში. (2—2200—2)

— სახელმწიფო თეატრი —
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 9 მარტს, წარმოდგენილი იქნება:

დილით „რიგოლეტო" საღამოთი „ჩიოჩიკი"

სამშაბათს, 11 მარტს ფალიაშვილის ოპერა: „აბესალომ და ეთერი". 12 მარტს „გეიშა". 13 მარტს „მანონი". 15 მარტს „ოტელლო".

პუშკინის ფოტოგრაფია
ნ. ა. მიტნიკისა
(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი)

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდან ნატურალურ სიდიდემდე, ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სეპიით. მშვენივრად შესრულება პორტრეთებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ.
10—2168—3

ედუარდ კლარის ფოტოგრაფიასთან გახსნილია
პორტრეტების გამადიდებელი

სტუდია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სიდიდემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, ქართული კლუბის შესავალი.

თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის საბჭო ამით აცხადებს, რომ კვირას, 23 მარტს, 1919 წ. დღის 10 ს. დანიშნულია

## დელეგატთა კრება

სამოსამართლო პალატის შენობაში, სა'ამართლოს ქუჩა.

თუ ვინიცობაა 10 საათზე არ შესდგა საკმაო კვორუმი კრება ინიშნება იმავე დღეს 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერად დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

წესდების § 20-ს ძალით უნდა იყვნენ ამორჩეულნი ყველა დაწესებულებაში ოც მოსამსახურეზე ერთი დელეგატი. ის დაწესებულება სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 20-ზე ნაკლებია, მაინც ირჩევს ერთ დელეგატს. დელეგატმა უნდა წარმოადგინოს სათანადო მანდატი ადგილობრივ მოსამსახურეთა საზოგადო კრებისა.

დღის წესრიგი:
1. მომენტი.
2. კავშირის არსებობა.
3. კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
4. მიმდინარე საქმეები.

თბ. სახელმწიფო დაწეს. მოსამსახურეების პრ. კავ. საბჭო.
1—2203—1

სამეურნეო გუნდში, სამხედრო სამინისტროსთან ნ... ყიდება

ბრიკი „ამერიკანკა"

დიდი მთავრის ქუჩა № 26. ფასზე იკითხეთ სამეურნეო გუნდში გედევანიშვილთან ან მეტლე შევცოვთან.
2—2202—1

იყიდება
პაპიროსი და თუთუნი
ქიზიყი

მისამართი: ქალაქი თბილისი, მალაკნის ქუჩა, № 27. საწყობი 31. ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილით 9 საათიდან 12 საათამდე.
4—2192—3

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავლე ტელეფონი № 43.
60—2171—7

რ. წითელ ჯვრის სამოქალაქო მმართველობის
სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.

უმუშევართა დღეები

7, 8 და 9 მარტს

შაბათს, 8 მარტს, არტისტ. საზოგადოების დარბაზში
არაჩვეულებრივი
კონცერტი-ბაზარი

საღამოს 10 საათ. ღამის 3 საათამდის განუწყვეტელი პროგრამა
სცენაზედ და ხალხში

მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, მელოდრამები ახალი ნომრები
პირველად იდგმება თბილისის სცენაზე:
სამი იტალიელი ქალი
სერ. გოროდეცკისა.

ახალი ნაწარმოებები: ს. კორონას, ბორ. პროზოროვსკის, იაკ. ლვოვის. სიურპრიზები საზოგადოებისათვის, გამოჩენილ მსახიობების მონაწილეობით. ექსცენტრიკები. ახალი ტრიუკები. მონაწილეობას იღებენ ოპერის არტისტები სახელმწიფო თეატრის, დრამიდან „ლადია არგონავტოვ". როიალთან: ბორ. პროზოროვსკი, ს. კორონა. მხატვრულ—სალიტერატურო განყოფილებას განაგებს ს. გოროდეცკი, ვ. აფანასიევი.
საღამოს დიასახლისი ა. ქავთარაძე.

შესავალი ბილეთები არ არის. მაგიდების ყიდვა კაბარეზედ შეიძლება დარბაზში შესვლის დროს.

9 მარტი. „ლადია არგონავტოვ" სპეციალური საღამო 3 საათამდის.
3—28—3

## ტერიტორიის საკითხი და სომხეთთან მოლაპარაკება

რამდენიც უნდა ითქვას ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საერთო ინტერესებზე, ბევრიც რომ სცადონ ამ ტერიტორიის ფარგლებში გამოცხადებულ სახელმწიფოთა მცხოვრებლების ამა თუ იმ სახით გაერთიანება და უკიდურესი ზომებიც რომ იქმნას მიღებული მათ შესაკავშირებლად და დასაახლოვებლად,—ის მაინც ფაქტად დარჩება, რომ ამ სახელმწიფოთა „დემოკრატიას" ჯერ-ჯერობით გასაყოფი და განსაცალკევებელი უფრო მეტი აქვს, ვიდრე შესაერთებელი და საზიარო.

საერთო ინტერესებზე მითითება იმ დროს, როცა თვითეული სახელმწიფო და ერი განკერძოებულად უნდა მოქმედებდეს რთულ სახელმწიფოებრივ მექანიზმის ასამუშავებლად, ხშირი წერა და ლაპარაკი „დემოკრატიის გაერთიანებისათვის", როცა ამ დემოკრატიას საკუთარი სახელმწიფოს საქმეების გაძღოლა აქვს დავალებული პირველ ყოვლისა, ჩვენის აზრით შემცდარი პოლიტიკაა...

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორია ჯერ კიდევ მოუხაზველია, მათ შორის მტკიცე და საბოლოო საზღვარი არ არის დადებული და ის დაუმთავრებელი უთანხმოება და კონფლიქტები, რომელნიც ახალ პოლიტიკურ ერთეულების შორის დამოუკიდებლობის აღიარების პირველ დღიდანვე წარმოიშვა და ასუსტებს მათ, უტყუარი საბუთია ჩვენ მიერ მოყვანილ მოსაზრებისა, რომ წინდაწინვე ძახილი მხოლოდ შეერთება-შეკავშირებაზე, როცა თვით ობიექტი შეერთებისა არარაობას წარმოადგენს, მიზანს ვერ მიაღწევს!

საზღვრების ამოხაზვისათვის საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან—სომხეთთან და სამხრეთ რუსეთთან სასტიკი ომის წარმოებაც დასჭირდა, ხოლო ერთ სახელმწიფოსთან ჯერაც ვერ განმტკიცებია კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

მრავალჯერ აღგვინიშნავს პოლიტიკურ მესვეურთა ყურადსაღებად, რომ სახელმწიფოს სადღმშენებლო მოღვაწეობა კუთვნილ მიწა-წყლის შემოკრებით უნდა დაიწყოს, რომ უშედეგო და უმიზნო პირველხარისხოვან სოციალურ, თუ პოლიტიკურ რეფორმათა განხორციელება, უკეთუ სახელმწიფოს სხეული დანგრეული და დაქსაქსულია.

პოლიტიკური გულუბრყვილობა და ხალხთა ისტორიის უცოდინარობაა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთა ოცნება, თითქოს საერთაშორისო კონგრესზე დიდი სახელმწიფოები საქართველოს საზღვრების დეტალების გამორკვევითა და საბოლოო ჩამოყალიბებით თავს აიტკივებენ და მზამზარეულად შექმნილ ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელ საზღვრებს მოგვთავაზებენ!

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების კონფერენციებს ტერიტორიის საკითხი საერთაშორისო კონგრესამდე თვითონ უნდა გადაეჭრათ და ამის შემდგომ მხოლოდ უნდა წამდგარიყვნენ მსოფლიო სამსჯავროს წინაშე. ეს არ მოხდა თავის დროზე და ამაშია სწორედ გამოუსწორებელი სისუსტე ახალი რესპუბლიკებისა და უმეტესად ჩვენი ქვეყნისა, რადგანაც, ვინ არ იცის, რომ ტერიტორიის საკითხის გამოურკვევლობით საქართველო ყველაზე ძლიერ დაზარალებული და დაუძლურებულია. ჩვენს რესპუბლიკას მოწყვეტილი აქვს უმდიდრესი და სტრატეგიულად უმნიშვნელესი და უსაჭიროესი კუთხეები და მათ შემოსაერთებლად სათანადო ზომები არ მიუღია ჩვენს მთავრობას.

რა მიზეზია, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის მოლაპარაკებას საზღვრების გადასაჭრელად აქამდისაც არა ჰქონია ადგილი და დღესაც კანცელარიული მიწერ-მოწერით ორივე სახელმწიფოები მხოლოდ ართულებენ და აუარესებენ ურთიერთ განწყობილებას?!

სომხეთთან მოლაპარაკებამ თავის დროზე „ნაყოფიც" გამოიღო და ჩვენი რესპუბლიკა იძულებული შეიქმნა რკინის არგუმენტები მიეშველებინა დიპლომატიურ ნოტებისათვის. ეს ალარ უნდა განმეორდეს, რადგანაც ამ „არგუმენტებს" შესაძლოა რესპუბლიკათა თვით არსებობაც შეეწიროს.

დღეს ჩვენი მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს არარატის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან და ამ მოლაპარაკების ცენტრი, თავის თავად ცხადია, ტერიტორიის საკითხისაკენ გადიხრება. გაზეთების ცნობით, სომხეთის საერთაშორისო პოლიტიკაში უკანასკნელ დროს შესამჩნევი ცვლილება მოხდა და ეს იმაში გამოიხატება თავდაპირველად, რომ სომხეთს პირი სამხრეთისკენ უბრუნებია და ოსმალეთის ვილაეთების შემოერთებაზე ზრუნავს. ხმებია თითქოს ნუბარ-ფაშაც ამ გზით მოქმედებდეს პარიზის კონგრესზე და საქართველოსთან შეთანხმების საშუალებას დაეძებდეს. სომხეთის ასეთი პოლიტიკა მოსაწონია ჩვენთვის, თუმცა, უნდა ითქვას, სამხრეთისაკენ საზღვრების გაწევა და გაფართოება ჯერ კიდევ იმის მაჩვენებელი არ არის, რომ სომხეთმა გადაჭრით უარი სთქვას ჩრდილოეთის პრეტენზიებზე.

ტერიტორიის შემოხაზვა და სახელმწიფო საზღვრების მტკიცედ დადება წესიერ სახელმწიფოს აშენების პირველი ფუნქციაა და მისი ღირსეული დამთავრება პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელების სადღეთო მოვალეობას შეადგენს.

საქართველოს მთავრობას მოლაპარაკება აქვს სომხეთის ნაციონალურ პოლიტიკის მატარებელ ადამიანებთან! ჩვენს მთავრობას სულაც არ უნდა აკმაყოფილებდეს ევროპაში მყოფ სომეხ პოლიტიკოსების დეკლარატიული განცხადებანი და ის უნდა ეყრდნობოდეს განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესს.

სახელმწიფოებრივი და ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის შესრულება ჩვენს სამშობლოს წარსულ მრავალ შეცდომას გამოუკეთებს და ისტორიის მიერ ნაანდერძევ მიწა-წყალზე საქართველოს სახელმწიფო შეძლებს განაგრძოს დამოუკიდებელი ცხოვრება.

რ. ინგილო.

## მინისტრ ჟურული ბაქოში

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრს გ. დ ჟურულს გაზ. „აზერბ."-ს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი უთქვამს:

— მე ჩამოვედი, რომ მივესალმო აზერბეიჯანის მთავრობას ჩემი მთავრობის სახელით; ამასთან ერთად მე მოვიტანე სასიხარულო ცნობა, რომ უკვე გარდაწყვეტილია ყველა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებ სწარმოებდა მოლაპარაკება საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის.

ესენი არიან: საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის საკითხი, 2) სარკინიგზო კონვენცია, 3) სატრანსპორტო კონვენცია საქონლის გადასაზიდ გადმოსაზიდათ აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის, 4) საბაჟო კონვენციის საერთო დებულებათა პროექტი. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ყველა ეს საკითხები მტკიცედ არიან დაკავშირებულნი მეორე საკითხთან, რომელიც ბაზისად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხებისათვის — ამიერ კავკასიის ბონების საკითხთან.

ჩვენ ეხლა, ბონების კიდევ ერთს ემისიას უშვებთ და როგორც წინეთ, ეხლაც წინადადებას ვაძლევთ აზერბეიჯანის მთავრობას, მონაწილეობა მიიღოთ ამ ემისიაში; ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ მიღება იმ ხელშეკრულებისა, რომელიც განზრახულია საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის, სრულებით არ ავალებს აზერბეიჯანის მთავრობას უსათუოდ აიღოს თავის თავზედ ახალი ემისიის ნაწილი, მით უმეტეს, რომ მას უკვე აქვს ადგილობრივი ბონები შინაგან ხმარებისთვის.

ჩვენ ვდგევართ იმ თვალსაზრისზედ, რომ ემისია უნდა სწარმოებდეს სამივე რესპუბლიკის თანხმობით; ფაქტიურათ კი, ყოველთვის არ ყოფილა სამივე რესპუბლიკის ხელის მოწერა. ამის წინათ რომ ემისია იყო, მასზედ ხელი მოწერილი ჰქონდა მხოლოდ საქართველოს და აზერბეიჯანს, ხოლო სომხეთი შეუერთდა შემდეგ, როდესაც ხელშეკრულება უკვე ძალაში იყო შესული. ამ ჟამად ხელშეკრულებამ, ემისიაში საერთო მონაწილეობის მიღებისა, უკვე დაიწყო განხორციელება, და აზერბეიჯანზე არის მხოლოდ ჯერი, შემოუერთდეს ამ ხელშეკრულობას.

და მე ჩამოვედი აქ მისთვის, რომ წინადადება მივცე საქართველოს მეგობრული რესპუბლიკის მთავრობას, დასთანხმდეს ჩვენსა და სომხეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზედ: ამ ხელშეკრულების ძალით, ყოველი ამ სახელმწიფოთაგან, ამიერ-კავკასიისაგან დამოუკიდებლად, თვით აწარმოებს თავის ემისიას, ვალის დასრულებამდე.

— რაც შეეხება საქართველოს ბიუჯეტს, იგი შეფარდებულია 1-ლ ივნისისათვის, 9 თვის გამოცდილების შემდეგ, ჩვენ ეხლა საჩქაროდ ვიმუშავებთ ახალი გადასახადების პროექტს და უმთავრესი ჩვენი პრინციპია ვიცხოვროთ მხოლოდ ჩვენი შემოსავლის მიხედვით. კერძოთ, პროგრესიული, შემოსავლის კვალობაზე გადასახადი— რუსული ტიპისა, სრულებით დამაკმაყოფილებელი არ არის, ამიტომ ამ კანონის მოქმედებაში კორექტივების სახით ჩვენ შეგვაქვს ისეთი ელემენტები, რომელნიც წინეთ სრულებით ამოღებული იყვნენ კანონიდან.

ჩვენი გასავლის უმთავრეს საგანს შემდეგი დარგები წარმოადგენენ: სამხედრო, სარკინიგზო და სამოქალაქო. პირველი ამათგანი მხოლოდ ბიუჯეტის 50—55 პროცენტს ითხოვს.— ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეში, ჩვენ დიდ სიამოვნებით შევხვდებით, როგორც ქართულ კაპიტალს, ისე უცხოეთის, თუ რასაკვირველია, უკანასკნელი მოისურვებს საქართველოს საკეთილდღეოდ იმუშაოს.

დასასრულ ბ-ნმა ჟურულმა სრულის კმაყოფილებით აღნიშნა, რომ აზერბეიჯანის მთავრობისთვის მძიმე მუშაობას კარგი ნაყოფი მოაქვს და მას ეძლევა საშუალება მშვიდობიან სახელმწიფოებრივ მუშაობას შეუდგეს.

## იოანეს ტუმანიანის იუბილე

გუშინ-წინ არტისტიულ საზოგადოების თეატრში დადგეს პირველი

86

# უკანასკნელი ცნობები

ბერლინში ამბოხება ძლიერდება. ბრძოლა არ შეწყვეტილა. ქალაქში და მის მიდამოებში საერთო გაფიცვაა.

ჰუნგრეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს კომუნისტების წინააღმდეგ, მათი მეთაური ბელაკუნი მოჰკლეს.

ტოკიოში დემონსტრაციები იმართება მონარქიის წინააღმდეგ.

„ტაიმსის" ცნობით ჰეტავ დეფუსსმა შეადგინა ხმელთა შუა ზღვის სპარსეთის ყურესთან არხის გაერთების პროექტი. არხი დაიწყება სუეციდან, გაივლის რელსზე ანტიოქიაში და ალეპოს გასწვრივ ეფრატამდე ჩავა. არხი 960 მილი იქნება.

სომხური ოპერა „ანუში" ბ. ტიგრანოვის დაწერილი.

ოპერის სიუჟეტი აღებულია ოვანესს თუმანიანის პოემიდან „ანუში", ამიტომ მისი პირველი დადგმა სცენაზე შეუფარდეს ოვანესს თუმანიანის იუბილეს.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და ნამდვილი დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა.

იუბილიარი ინახულეს და მილოცვით მიმართეს: სომხის მთავრობის თავმჯდომარემ რუბენ ქაჩაზნუნმა, ამერიკულ მისიის თავმჯდომარემ მისტერ აროლმა, სომხის პარლამენტის თავმჯდომარემ სააკიანმა და ბევრმა სხვამ.

ქართველ პოეტების სახელით იუბილიარს მიულოცეს პოეტებმა პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ.

პ. იაშვილის სიტყვას ხალხი აღტაცებით შეხვდა, ისმოდა დაუსრულებელი ხმები „გაუმარჯოს საქართველოსო".

მგძნობიერ სიტყვით ოვანესს თუმანიანმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და განსაკუთრებით აღნიშნა ქართველებისადმი კეთილ-მეზობლური განწყობილების აუცილებლობა, ყოველ მის სიტყვას საქართველოზე ხალხი აღტაცებით ხვდებოდა.

ქართველ პოეტებს მადლობა გამოუცხადა ბ. რუბენ ქაჩაზნუნმა და განსაკუთრებით ოვანესს თუმანიანმა.

## კავკასიის რესპუბლიკები და კონფერენცია პრინცის კუნძულებზე.

სტამბოლის გასულ იანვრის გაზეთები იუწყებიან: „კავკასიის დელეგატები შეეკითხნენ ანტანტის კომისრებს, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას პრინცის კუნძულების კონფერენციაზე.

კომისრებმა აუწყეს, რომ ზემოხსენებულ კონფერენციის მუშაობას არავითარი დამოკიდებულობა არა აქვს როგორც ჩრდილოეთის, ან სამხრეთ კავკასიასთან, ისე საქართველოსა და აზერბაიჯანთან და რომ ამ ქვეყნების დელეგატები მოკლე ხანში ჩავლენ პარიზს".

## ქრონიკა

→ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს, დილის 11 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის კრება. (განსარჩევია: დამფუძნებელ კრების და სარედაქციო საკითხები) დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

გაზეთ „გრუზიას" სარედაქციო კოლლეგიის წევრმა პართენ გოთუამ ამ გაზეთში თანამშრომლობას თავი დაანება.

→ **სურსათი სომხეთისათვის.** ა. საკიანმა ცნობა მიიღო, რომ ენზელიდან ბაქოში ჩამოუტანიათ სომხებისათვის 150,000 ფუთი ბრინჯი აქედან 20 ვაგონი გაიგზავნა სომხეთში. ოეშტაში მოკავშირეებმა გაგზავნეს რწმუნებული ბრინჯის შესაძენად სომხებისათვის. ეხლა ბათუმში არის ამერიკიდან ჩამოსული გემები პურით, რომელიც სომხეთში უნდა გაიგზავნოს. სალონიკიდან გამოგზავნილია 150,000 ფუთი ფქვილი. მოკავშირეებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნეს რწმუნებული პურის შესაძენათ, ამისათვის გადადეს 1 მილიონი მანეთი.

21 თებერვლამდე თბილისით სომხეთში გაიგზავნა 51 ვაგონი პური, კიდევ 15 ვაგონი ფქვილი და 7 ვაგონი სხვა და სხვა სურსათით. სურსათის გადასაზიდათ მოკავშირეთა განკარგულებით, ყოველ კვირაში უნდა გავიდეს სომხეთში 4 მატარებელი 20 ვაგონით.

→ **დამფუძნებელი კრება.** 7 მარტს მომხდარ პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომაზე დადგენილ იქნა: დამფუძნებელი კრება გაიხსნას 12 მარტს სასახლეში დილის 12 საათზე. დღის წესრიგი: დამფუძნებელ კრებას ხსნის და დამფუძნებელ კრების წევრების უხუცესი. თავმჯდომარის არჩევა, რომელიც აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელსაც ხელს მოაწერენ დამფუძნებელი კრების წევრები. არავითარი კერძო სიტყვები და მილოცვები არ უნდა იქნეს წარმოთქმული.

→ 7 მარტს ღამით გენ. გაპონოვის ბინაში, დიდი მთავრის ქუჩა № 55, შევიდნენ 7 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი და წაიღეს 3.000 მანეთი ფულად და სხვა ნივთები, რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

→ **გაძარცვა.** 7 მარტს, საღამოს 9 ს., ფ. გოგჩელიძეს ბინიდან მიხაილოვის ქ. № 6, 3 შეიარაღებულმა სიკვდილის მუქარით წაიღეს 30,000 მანეთი ფულად და 5,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

→ გარეშე საქმეთა სამინისტრომ აცნობა საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, რომ თანახმად მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირის დადგენილებისა, საქმეები და საბუთები უდაო ტერიტორიის შესახებ, უკეთუ არავითარ ეჭვსა და დავას არ იწვევენ და ამასთან თვით შუამდგომელნიც ურთიერთშორის შეთანხმებით მოითხოვენ, სავსებით დაუბრკოლებლად გადაეცეს კუთვნილისამებრ.

→ **თვითმკვლელობა.** 6 მარტს, დილის 11 ს., ელისაბედის ქუჩაზე № 7, ელისაბედ კოტიევმა (19 წლის) რევოლვერით თავი მოიკლა.

→ **დატუსაღება.** სამი დღის წინ განსაკუთრებული რაზმის საწყობში დაიჭირეს შოფერი ვ. ჯანდიერი და ი. მათიაშვილი, რომელთაც საწყობის გაქურდვა ჰსურდათ. 3 ბოროტგანმზრახველი მიიმალა.

→ **სომხეთის დიპლომატიურ წარ. დანიშვნა.** სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელად საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა ლ. გ. ევანგულოვი.

→ **რუსეთ-აზიის ბანკის სოჭის სააგენტო** თხოულობს, საქართველოს მთავრობისაგან 2 მილიონი მან. იმ საფუძვლით, რომ შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა საქართველოს მთავრობის ხელშია და ამ გზის საზოგადოებას კი 2 მილიონზე მეტი მართებს ბანკისა.

→ **ქურდობა.** 6 მარტს, საღამოს 6 საათზე, მიხეილის ქუჩაზე № 114, ივანე ბერაიას ბინიდან ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 16,800 მანეთის ფული და სხვა და სხვა ნივთები.

→ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** წიგნის მაღაზია ახლო მომავალში გადავა გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „ორიანტის" ქვეშ, პოპოვის ყოფილ ჩაის მაღაზიაში, „ცენტრალურ წიგნის მაღაზიის" გვერდით.

→ **ეროვნული დროშები.** კულტურის და შრომის კავშირის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას არავისათვის დაუვალებია სხვადასხვა დაწესებულებებში სიარული და ეროვნულ დროშების ამ გზით გავრცელება. საზოგადოებრივმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა პირდაპირ უნდა მიმართონ „კავშირის" შტემპლების ქარხანას (ნიკოლოზის ხიდი, № 21), სადაც მათ დაეთმობათ დროშები დაკლებულ ფასებში—უფრო იაფად ვიდრე კერძო პირებს. კავშირის მიერ დამზადებული დროშები სხვაგან არსად იყიდება.

## სომხეთში

**ცვლილებანი მთავრობის შემადგენლობაში.**

მთავრობის შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებანი მოხდა: ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრი ალ. ხატისოვს მთავრობის თავმჯდომარეობა დაეკისრა, მის მოვალეობის ასრულებას შეუდგა მისი ამხანაგი სარქის მინასიანი. სასურსათო სამინისტროს ხელმძღვანელობა დაეკისრა ცნობილ სომეხ მოღვაწეს ერ. ვერმიშევს. სახალხო მზრუნველობის მინისტრათ დაინიშნა ტერ-მიქელიანი.

**სამხრეთ სომხეთში**

კრიზისი, რომელიც სომხების საპარლამენტო წრეებში მოხდა საგანგებო დაცვის წესების შემოღებით, თითქმის ამოიწურა მით, რომ მთავრობამ საკმაოდ დაინახა ერევნის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში ცნობილი ჰერო დაენიშნა.

მტკიცე ზომების მიღება ამ მხარეში ყველამ საჭიროთ დაინახა მისთვის, რომ კაგიზმანიდან მექუმდე გამოაშკარავდა ფარული მუშაობა ოსმალთა აგენტების, რომელნიც ამ რაიონში მათი ძალების კონცენტრაციას ახდენენ.

ადგილობრივი მცხოვრებთა წინააღმდეგობა სომხების მთავრობისადმი, რომელსაც ამ მხარეებში ჰქონდა ადგილი, როგორც სომხური მაროველი წრეები იუწყებიან, თან და თან პრესა და ფართო მასსა, მომხრეა იცნობს არსებული მთავრობა.

## ქართველი ტყვეები

ტუაპსედან მოვიდა რუსის გემი „სვიატოი-ნიკოლაი", რომელმაც გამოიყვანა მეორე პარტია სოჭაში წაყვანილ ჩვენი ტყვეებისა, მათ შორის არა სამხედრო ტყვეებიც არიან, რომლებიც მაშინვე გაანთავისუფლეს. სამხედრო ტყვეები კი ორასამდე კაცი ვაგონების უქონლობის გამო ინგლისებმა ფოთში გაგზავნეს, გამოსულების სიტყვით, რამდენადაც მოხვლე დიდის თანამდებობისა იყო, იმდენად უფრო სასტიკი მოპყრობა ჰქონდა მათ მოხალისეებისაგან. დღეს აუარებელი სამხედრო ტყვე მოაწყდა ბათუმს. მოდიან გერმანიიდან და ავსტრიიდან. მათის სიტყვით, მრავალი ქართველი ტყვე თავმოყრილია ნოვოროსიაში, ესენი მოუყვანიათ ოსმალეთიდან გემით, როგორც რუსის ტყვეები; მათი მდგომარეობა უმწეოა, და არც არავინ ყოფილა იქ იმათი დამხმარე. საჭიროა რაც შეიძლება მალე აღმოუჩინოს მათ ყოველნაირი დახმარება. ინგლისელები ბათუმიდან არავის უშვებენ სტამბოლისაკენ. მართალია განცხადება ამის შესახებ არსად არ არის გაკრული, მაგრამ ფაქტიურად მაინც არავის უშვებენ. ასეთივე მდგომარეობაა სტამბოლიდან მოსავლებისათვისაც ჩვენსკენ. მიზეზი გამოურკვეველია. გუშინ არჩეულ იქმნა სასურსათო კომიტეტის პრეზიდიუმი და გამგეობა, სულ 6 კაცი, რომლებიდანაც 2 ქართველი მუსულმანია, 1 ქართველი ქრისტიანი, 1 რუსი, 1 ებრაელი და 1 სომეხი.

## სამუნიციპალო ცხოვრება

**გამგეობის წევრის ჩამოსვლა.**

სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოს მიერ ქალაქის გამგეობის წევრად ამორჩეული კ. ა. ფანიევი.

ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს სოხუმიდან 12 მარტს მოელიან.

**მუშაობის განაწილება გამგეობაში.**

ქალაქის გამგეობამ ასე გაანაწილა მუშაობა გამგეობის წევრთა შორის: გ. გ. კონიევმა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულების გარდა სასკოლო და საფინანსო განყოფილებების საქმის წარმოება იკისრა, გამგეობის წევრს ი. ბესელიძეს დაევალა საამშენებლო განყოფილების საქმეების წარმოება, კ. ფანიევს დაევალა საადმინისტრაციო და სასურსათო განყოფილების საქმის წარმოება, პ. მასილკინს-კი ჩაბარდა სამედიკო-სასანიტარო, ლტოლვილთა, საბინაო, შრომის და მოწყალების საქმეების წარმოება.

**ქალაქის სესხი.**

ქალაქის საბჭოს ნებართვით ქალაქის გამგეობა ტფილისის ბანკებში სესხად იღებს 1,500,000 მან. მთავრობის გარანტიით გადამდებ სენით ავათმყოფობასთან საბრძოლველად და მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებლად. აქაური საკრედიტო დაწესებულებანი ამ სესხს აძლევენ ქალაქს მძიმე პირობებით: სამი თვის ვადით და 9 ნახ. პროცენტით სარგებლის გადახდით. ფულის მიცემას ბანკები ქალაქის გამგეობას პირდებიან.

**საბჭოს რეგლამენტი.**

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტი, რომელსაც ორშაბათს საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

**საავათმყოფოთა რევიზია.**

ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული საგანგებო კომისია შეუდგა ქალაქის საავადმყოფოების რევიზიას. საავადმყოფოს პირველ დათვალიერებით და მის საქმის წარმოებასთან გაცნობით კომისიამ მრავალი უწესოება შეამჩნია.

**სალიკვიდაციო ფულის მიცემის გამო.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების ყოფილ მოსამსახურეებმა, რომელნიც შტატის შევიწროებისა გამო დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან, გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს. რათა მათ ჯამაგირის მიცემა არ მოუსპონ, სანამ მიეცემა მათ სალიკვიდაციო ფული. ქალაქის გამგეობამ უარყო ეს თხოვნას და დაადგინა ყოველივე საშუალება იხმაროს, რომ მათ სალიკვიდაციო ფული მალე მიეცეს.

**საბალნეოლოგიო საკითხის გარშემო.**

ხუთშაბათს საღამოს ნ. ზ. ელიავას თავმჯდომარეობით საბჭოს მიერ არჩეულ საბალნეოლოგიო კომისიის სხდომა შესდგა. თავმჯდომარემ, კომისიის ახალი წევრები გააცნო თბილისში საბალნეოლოგიო სადგურის მოწყობის ისტორიასთან და იმ მასალებთან, რომელიც ამ საგანზე შემუშავებულია რამდენიმე კომისიების მიერ, საექიმო და სატეხნიკო საზოგადოების და სხვ. მიერ. პირველად ეს საკითხი აღძრავს ნ. ი. ნიკოლაძეს 1873 წ. და მას შემდეგ ამ საგნის შემუშავებაზე მრავალ პირთა აქვთ მოღვაწეობა. უფრო დაწვრილებით შემუშავებულია ეს საკითხი უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საბჭოს ბალნეოლოგიურ კომისიის მიერ, რომელიც მუშაობდა განსვენებულ ექიმ ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით. ამ განზრახვის აღსრულებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ქალაქი იძულებული იყო შეესყიდა აბანოები, და მრავალი მათ მიდამოებში მყოფი შენობები. შედგენილი იყო ხარჯთ—აღრიცხვაც. ჯერჯერობით აქ კურორტის მოსაწყობად სჭირდებოდა მაშინდელ დროს 3 მილიონი და ამ თანხის შოვნის საშუალებას ქალაქის გამგეობა ვერ პოულობდა. ამ ჟამად, როცა ახალ კანონის ძალით გოგირდის ცხელი წყლები სახელმწიფოს ხელში გადადის, ამ საკითხის გადაწყვეტა სუბუქდება მით, რომ აბანოების შესყიდვა, გარდა შენობებისა და მათი მოწყობილებისა, საჭირო არ არის. ამიტომ კომისიამ დაავალა თავის თავმჯდომარეს ბ-ნ ელიავას მიწათა წარმოების სამინისტროში იმ საგნის გამორკვევა, თუ რა პირობებით შეიძლება, რომ ეს აბანოები ეხლავე გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას და რა მდგომარეობაშია აბანოების მიღების საკითხი. მომავალ სხდომაზე, რომელიც შემდეგ ხუთშაბათს შესდგება, დაგენილია მოიწვიონ მცოდნე პირები სათათბიროდ.

## აზერბაიჯანში.

**მუშათა კონფერენცია**

დამთავრდა მუშათა კონფერენცია დიდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია.

ამოირჩეს გაფიცვის კომიტეტი შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. 1) კონფერენციის პრეზიდიუმიდან, 2) პროფესიონალურ კავშირის კომიტეტიდან, 3) პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელთან, 4) ყველა პოლიტიკურ პარტიებიდან, „მუსავატის" შესვლითაც, 5) გაფიცვის კომიტეტის წევრთაგან, მასვე დაევალოს ინგლისის ხელმძღვანელთა შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინოს: 1) შინაურ საქმეში არ ჩაერიოს, 2) ყველა დაპატიმრებულ მეზღვაურთა განთავისუფლება, 3) სრული ანგარიშის მიცემა მეზღვაურების, 4) დაუყოვნებლივი დაპატიმრების შეწყვეტა, 5) რუსეთის სახელმწიფოს ქონება გადასცენ ადგილობრივ პოლიტიკურ მმართველებს, 6) მიენდოს გაფიცვის კომიტეტს თუ ვინიცობაა არ დააკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვნილება, გამოაცხადოს საერთო მუშათა გაფიცვა.

## პეტრე ლალიძე

ახალციხის ბრძოლაში გმირულად დაეცა პეტრე ლალიძე. იგი ს. ხაშმის და გარე-კახეთის გვარდიის შტაბის უფროსი იყო. რევოლიუციის მოხდენისთანავე წითელი გვარდიის შედგენას შეუდგა ჯერ ხაშმში, შემდეგ გარე-კახეთში. თავისი გვარდიით მონაწილეობდა დუშეთის, ბორჩალოს და ახალციხის ფრონტებზე.

უკანასკნელად ახალციხეში მარტის 6 გარე-კახელთა გვარდიის შუა ხევზე მიიწევდა წინ, როგორც სარდალი და გვარდიელთ ხელ მძღვანელობდა. გვარდიამ თითქმის ორი ვერსით წაიწია წინ, როდესაც მარცხენა და მარჯვენა ფრთანი უკან იყვნენ ჩამორჩენილნი. აქ ცხარე ბრძოლაში მოიკლა იგი. ამხანაგებმა სამშობლო სოფელ ხაშმს წაასვენეს.

## ოვანეს თუმანიანის დეპეშა

ჩვენმა რედაქციამ სომხეთის მხცოვან პოეტის ოვანეს თუმანიანის მიერ სამადლობელი დეპეშა მიიღო იმ მისალოც დეპეშის გამო რომელიც პოეტს ჩვენმა რედაქციამ გაუგზავნა მისი 50 წლიან იუბილეის გამო.

„გულითად მადლობას ვუცხადებ „საქართველოს" რედაქციას იმ მისალმების და კეთილ სურვილების გამო რომელიც მან ჩემი ძვირფასი მეგობრის ტიციან ტაბიძის პირით გამომიცხადა.

დადგება დღეები მე მწამს, როდესაც მიუხედავად შოვინისტების ყოველნაირ ცდისა, იდღესასწაულებს იდეა ხალხთა ერთობისა და საუკუნოებრივ ძმობის ძალა უფრო განმტკიცდება თავისუფლების და დამოუკიდებლობის ქვეშ. და აყვავდება ჩვენთვის ესოდენ ძვირფასის ხელოვნებისა და ლიტერატურის ნათელ ყვავილებად. ხოლო საქართველო ლამაზი, ტანჯვისა და სევდის დღეებში უფრო გამშვენიერდება თავისუფალ კავკასიის თავისუფალ ხალხთა ერთობის გაერთიანების დღეებში".

## ქართველ ინვალიდთა მოწოდება

მსოფლიო ომმა, რომელშიდაც ქართველმა ერმა თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო და შემდეგ საზღვრებზე შემოსეულ მტრთან ბრძოლამ ღრმა კვალი დაასვა ქართველ მეომრებს.

ერის სულიერი და ნივთიერი გაჭირვება უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ამ უბედურებამ შეიწირა არამც თუ აუარებელი მსხვერპლი, არამედ დაგვიტოვა ბევრი ქვრივ-ობოლი ყოველსავე გარეშე დახმარებას მოკლებულნი.

სამაგიეროდ, ომმა შეაკავშირა საზოგადოების ყველა წევრები, რომლებიც ნივთიერ დახმარებას, უწევენ როგორც დაჭრილ-დასახიჩრებულებს, აგრეთვე გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ქვრივ-ობლებს.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით დაარსდა ქალთა საქველმოქმედო კომიტეტი, რომელმაც თვალსაჩინო თანხაც შეაგროვა ზემოაღნიშნულ მიზნისთვის. თბილისში არსებულ „ქართველ დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირს" მთავრობაც ყურადღებით ეპყრობა და მათ საჭიროებისათვის იძლევა ხოლმე ერთდროულ დახმარებას.

„დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის" მოქმედება თან და თან ფართოვდება-დახმარებას და შემწეობას მისგან დღითი-დღე მეტი გაჭირვებული თხოულობს.

ამ დამსახურებულ-უხელ-ფეხო და დასნეულებულ საბრალო ინვალიდებს მზრუნველობა ესაჭიროებათ.

მათ სამშობლოს წინაშე პატიოსან მოვალეობის მოხდით და თავისი ვაჟკაცობით დაიმსახურეს ასეთი გულითადი ყურადღება.

„ომში დაჭრილ - დასახიჩრებულთა კავშირი" შეძლებისამებრ მათ დახმარებას უწევს მაგალითად: მიხეილის ქუჩაზე № 139 მოწყობილი აქვთ თავშესაფარი მძიმე დაჭრილებისათვის. იქვე კავშირის ექიმი უფასოთ სწამლობს და არჩენს მათ; აქვთ თავიანთი „საპროტეზო" სახელოსნო, სადაც ხელოვნურ ხელ-ფეხს უკეთებენ, აქვთ იაფი სასადილო და სამკითხველოც.

„დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის" ასეთს ფართო დანიშნულებას ძალიან დიდი ხარჯები სჭირდება.

ამ მიზნით 10 მარტს მთავრობის ნებართვით, სახელმწიფო თეატრში მართავს ქართველ ინვალიდთა პირველ საღამოს.

საღამოს გამგე კომიტეტი იმედოვნებს, რომ თბილისის მოქალაქენი, განურჩევლად ეროვნებისა, თანაგრძნობით, მოეკიდებიან ამ უმაღლეს ჰუმანიურ მიზანს და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ ჯარში დაჭრილ-დასახიჩრებულთა სახსრის გასაძლიერებლად, და რისთვისაც კეთილ ინებებენ და პირადათაც დაესწრებიან ამ საღამოს.

შემოწირულება მიიღება ბროსეს ქუჩა № 2, სანაპირო ჯარის ინტენდანტთან, პოდპოლკოვნიკ ს. მ გარუჩავასთან.

## სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებისა.**

1. წერეთელი ვასილ გიორგის ძე, 2. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძ 4. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ი. ჯ ფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, 6. თ რაძე ალექსანდრე დავითის ძე, 7. ჩ კვაიძე კალისტრატე ნიკოლოზის ძ 8. გაჩეჩილაძე ივანე ერასტის ძე, 1 ჯაფარიძე ალექსანდრე რომანის ძ 11. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძ 12. ნაზაროვი დიმიტრი ალექსანდრ ძე, 13. ბახტაძე სერგო ლუკას ძე, 1 დადიანი გრიგოლ პლატონის ძე, 1 კილასონია ნიკო მერაბის ძე, 16. სვა ნიძე ონისიმე ბიჭიას ძე, 17. ჰილა ვარლამ ივანეს ძე, 18. აბულაძე აკა გიგოს ძე, 19. არსენიშვილი ირონი მიხეილის ძე, 20. მეძმარიაშვილი ს რაფიონ ანტონის ძე, 21. ხმალაძე ლა ზარე ვასილის ძე, 22. ფურცელაძე ნ სტორ ანტონის ძე, 23. ყიფიანი სამ სონ გიორგის ძე, 24 ლომთაძე კონს ტანტინე რევაზის ძე, 25. ხუსკივაძ თეოფილე იესეს ძე, 26. გერსამი ალექსანდრე, 27. გაბარაშვილი კონ სტანტინე-ბიძინას ძე, 28. ღლონტ ალექსანდრე დიმიტრის ძე, 29. მაქა ცარია ანტონ პავლეს ძე, 30. უზნაძ პავლე ნიკოლოზის ძე, 31. მაჭავარიანი თომა სამსონის ძე, 32. კოკოჩაშვილი შალვა ვასილის ძე, 33. ოყრეშიძ დომენტი თომას ძე, 34. გველესიან გრიგოლ დავითის ძე, 35. ოდიშარი ანტონ ივანეს ძე, 36. ბასილაძე ტროფიმე ლუკას ძე, 37. ჯანელიძე ნიკიფორე მოსეს ძე, 38. ხაზარაძე ილარიონ ანტონის ძე, 39. ლეკვიაშვილი ოლღა მიხეილის ასული, 40. ლადუ აგნესა ვარშანის ასული, 41. შებურიაშვილი ლონგინ. ბესარიონის ძე, 42. ფოჩხუა არსენ ნიკოლოზის ძე, 43. წერეთელი ვლადიმერ ჯიბოს ძე, 44. აბაკელია სიმონ კონსტანტინეს ძე, 45. გამრეკლიძე ნოე გრიგოლის ძე, 46. აბზიანიძე ნიკოლოზ დიანოსის ძე, 47. პატარიძე პორფილე ივანეს ძე, 48. კაპანაძე ივანე მარკოზის ძე, 49. ტყეშელაშვილი გიორგი თომას ძე, 50. სანიკიძე ალექსანდრე თეიმურაზის ძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

8 მარტი

### ინგლისური პრესა

**ბოჰემია და ბავარია**

საბჭომ განიხილა საზავო ხელშეკრულების ბევრი მუხლი და მოწინააღმდეგის პირობები. გადაწყვეტილებას მხოლოდ ხვალ მიიღებენ. მსჯელობის მთავარი საგანი იყო ბოჰემიისთვის, ყოფილ ავსტრიის სხვა ნაწილებისთვის ბავარიისთვის სურსათის საჩქაროთ მიწვდენის საკითხი. ბოჰემიაში და ბავარიაში დაუყოვნებლივ გაიგზავნება სურსათი რათა გარდა შიმშილობის შემცირებისა, ეს ქვეყნები ბოლშევიზმს აარიდონ.

**საზავო ხელშეკრულება**

ყველა კომისიები სწრაფად მუშაობენ და იმედია, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტი 1 აპრილისთვის მზად იქნება. ზოგიერთი მუხლები უკვე სავსებითაა შემუშავებული. ფიქრობენ, რომ ლოიდ ჯორჯის ენერგიულ თანამშრომლობით მთელი პროგრამა მზად იქნება ვილსონის ჩამოსვლისას, მარტის 14-თვის. ეხლა გამოირკვა, რომ აპრილის დასაწყისისთვის ხელშეკრულება არ იქნება მზად, როგორც ამასწინათ ფიქრობდნენ, რადგან ზოგიერთ საბუთებს გერმანელები მხოლოდ მარტის გასულს წარმოადგენენ ოფიციალურ წრეებში ძლიერდება ის აზრი, რომ კონფერენციის პლენალურ სხდომაზე არ დაუშვან გერმანელები, რომელთაც კონფერენციის კომიტეტთან ექნება საქმე ხელშეკრულების მოწერის შემდეგ ამერიკიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ კონგრესი და ხალხი თანდათან უფრო მეტ დახმარებას უწევს ხალხთა ლიგას.

**ლოიდ ჯორჯის სიტყვა**

მრეწველობის საბჭოსა და სამრეწველო კონფერენციის გაერთიანებულ სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. მან სთქვა, რომ ის მიდის საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ, რომელიც მისი აზრით ჩამოაგდებს მტკიცე მსოფლიო ზავს. საჭიროთ ჩავთვალე მოვსულიყავი აქ, რომ მეთქვა თქვენთვის რამოდენიმე სიტყვა, რადგან თქვენც მონაწილეობთ საზავო კონგრესის სხდომაზე რომლის მნიშვნელობა თქვენც კარგათ იცით. ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ გგონიათ, არა მარტო იმიტომ რომ სწყვეტს უახლოეს პრობლემებს, არამედ იმიტომ, რომ სწყვეტს ქვეყნის მომავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ლს. ქვეყანა მღელვარებამ მოიცვა. ...სეთი დაირღვა და დანაწილდა. ...ის სიმპტომები, რომ გერმანიასაც ...ვევე მოელის. გერმანიაში არ აქვთ ...მორკვეული გზა, რომლითაც ამ ...რემ უნდა იაროს და ამ მიზეზით ...ძლიერდება ტანჯვა. მე არ გამი...ირდებოდა, თუ ჩვენი ძველი მხარე ...ლევ ერთხელ იქნებოდა ცივილიზა...ის ისეთი განსახიერება, რომელსაც ...ველა მიმართავს და იტყვიან: „გავ...ვთ, მივბაძოთ ინგლისს“.—ინგლისს ...რა ერთხელ წამოუყენებია სხვა ქვე...ნებშიც თავისუფლების და დემო...რატიზმის პრინციპი. მე მინდა, რომ ...ნგლისმა ახლაც გადაარჩინოს ცივი...იზაცია. ცივილიზაციას ვერ გადა...რჩენს ერთი რომელიმე კლასი: მას ...ადაარჩენს მხოლოდ ყველა კლასის ...ანასწორ უფლებიანობა და სამარ...ლიანობის გამარჯვება. აი რა გზით ...ნდა შეუდგეთ ამ დიდ საკითხის ...ადაწყვეტას. ნუ ცდილობთ მას, რომ ...რთმანეთისაგან რამით ისარგებლოთ. ...ს სასამართლო კი არაა, სადაც ყვე...ა ვექილია და სადაც ის ხან ერთს ...ა ხან მეორეს მიანდობს თავის სა...მეს იმ იმედით, რომ განაჩენი სასარ...გებლო იქნება მისთვის. თქვენ მსა...ულნი ხართ. თქვენ რწმუნებული ...ართ მთელი სახელმწიფოსი, მილიონ ...უშის და სამუშაოს მიმცემთა და კი...დევ მათი, რომლებსაც ვერ მიაწერთ ...მა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ რომ...ლებიც ამ დიდ მხარის ნაწილი არიან ...ე ვეუბნები სამუშაოს მიმცემთ, რომ ...ათ შეუძლიათ ისარგებლონ დროთი ...თავის სურვილების დასაკმაყოფილებ...ლათ, მაგრამ დაბოლოს ეს განადგუ...რებამდე მიიყვანეს. მათ თვალყური ...უნდა ადევნონ მას, რომ საფუძველი ...შეურყეველი და მტკიცე იყოს, მაგ...რამ ამ ჟამათ ის მტკიცე არაა. თქვენ ...უნდა ჩაუდგეთ სახელმწიფოს საძირ...კველი. მეორეს მხრით უნდა განუც...ხადო მუშებს, რომ ის, რაც მოხდა ...რუსეთში და რაც შეიძლება მოხდეს ...გერმანიაში, იმის დამამტკიცებელია, ...რომ თუმცა ანარქისტული პარტია ამ ...ჟამათ გამარჯვებულია, მაგრამ ამ ...ქვეყანაში მაინც აუწერელი უბედუ...რებანია. ზოგიერთნი შესაძლოა კარ...გათ სცხოვრობდენ, მაგრამ მუშათა ...კლასი მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ...მიტომ აუცილებელია გაერთიანება, ...რომელიც უზრუნველყოფს კეთილ ...მდგო... ...ს. უკანასკნელს უსათოოთ ...უნდა ძივაღწიოთ. დე გაიგონ მუშებ...მა, რომ იქ სადაც წარმოება იზრდება, ...ძნი სამართლიან წილს იღებენ, მუ...შებსა და სამუშაოს მიმცემთ მოეთ...ხოვება მეტი ნდობა ერთმანეთისადმი ...და ურთიერთის გაგება.

## ინგლისური პრესა.

### მოკავშირეთა მისსია.

პოლონეთში მყოფი მისია პარასკევს, ღამით სწრაფ მატარებლით ვარშავიდან გაემგზავრა პოზენში, სადაც ის შეხვდება გერმანელთა წარმომადგენლებს პრუსია-პოლონეთის შორის დროებით ზავის პირობათა დაწვრილებით განსახილველათ. მისიის თავმჯდომარეა საფრანგეთის წარმომადგენელი ნულანსი, დიდი ბრიტანიის—ესმეგოვარდი, იტალიის—მონტენ,ი ამერიკის—გენ. კერხანი. მისიას ახლავს კაპიტანი ლევირსონ გოვა და მაიორი ვოინგი. მისიის სხვა წევრები ამ ჟამათ იმყოფებიან ლვოვში, სადაც პოლონელების და უკრაინელების მორიგებას აპირებენ. ამის შემდეგ ისინიც პოზენში წავლენ. პოზენში მისიას აღფრთოვანებით შეხვდენ. მათ მიესალმა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე. ნულანსმა უპასუხა: „ჩვენ პოზენს პოლონეთის ნაწილათ ვთვლით“. ამ სიტყვებმა დიდი ტაშის კვრა გამოიწვია. სადგურის წინ მოედანზე მოეყარა დიდძალ ხალხს თავი, იქვე იდგა პოლონეთის ცხენოსანი და ქვეითი და ჯარი აგრეთვე რუსეთის პოლონელთა ჯარის ყოფილი მთავარ სარდალი დოვბორმუზდსკი; მისია დაბინავდა სამეფო სასახლეში, რომელიც 450 ოთახისაგან შესდგება. ეს სასახლე 10 წლის წინათ აშენებული გერმანულ სტილით და 12 მილიონი მარკა დაჯდა. ამ სასახლეს კურთხევის დროს კაიზერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის მომავალი აღმოსავლეთშია. ვილჰელმი ძვირათ ნახულობდა ამ სასახლეს და ომის დროს მხოლოდ ერთხელ ინახულა ის. ომის პირველ 2 წელიწადს სასახლეში იმყოფებოდა ჰინდენბურგის მთავარ ბანაკი.

### ბოლშევიკების დამარცხება თეთრ ზღვასთან.

სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ მურმანის რკინის გზის დამცველ მოკავშირეთა ჯარმა თეთრი ზღვის სამხრეთ ნაპირზე ბოლშევიკები დაამარცხა.

### ხმელთაშუა ზღვის არხი.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ შეადგინეს ხმელთა შუა ზღვის სპარსეთის ყურესთან არხის შეერთების პროექტი. არხი დაიწყება სუეციდან, ალექსანდრეტის სამხრეთით. გაივლის რულაზე ანტიოქიამდე; იქიდან არხი წავა ალეპოს გასწვრივ ეფრატამდე. არხი 960 მილის სიგრძის იქნება, ამ პროექტის ავტორს ჰუსტავ დეფოსს რამდენიმე წლის წინათ მიენდო ამ პროექტის წვრილმანების შემუშავება.

### ზავის შეკვრის დღესასწაული.

თემთა პალატამ მოიწონა ის აზრი, რომ ზავის შეკვრა საერთო ილუმინაციით იდღესასწაულონ.

### გერმანელების ნაძარცვი

გამოირკვა, რომ გერმანელების მიერ ნაძარცვი დიდძალი მასალა ბრიუსელში იქნა დატოვებული, ბელგიიდან წასვლის დროს. საფრანგეთის წარმომადგენლების თხოვნით ბელგიის ეროვნულ მუზეუმის დირექტორი ფ. ჟიბერტი გაარჩევს და აღწერს სურათების, ქანდაკებების, ხალიჩების, ავეჯეულობის და ხელთნაწერთა კოლექციებს.

### მარლიოს პროტესტი

„რევიუ დე პარი“-ში პროფესორი მარლიო არჩევს გერმანიის პროტესტს იმის გამო, რომ მას არ შეუძლია ომისგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურება. მაშინ, როდესაც გერმანელები ფიქრობენ, რომ გაიმარჯვებდენ ერთი გერმანელი ეკონომისტი ლანდსბურგი ზარალის ანაზღაურების შესახებ სწერდა: მტკიცედ უნდა უარვყოთ ის თეორია, რომ დამარცხებულ სახელმწიფოს არ შეუძლია ზარალის ანაზღაურება და არც უნდა გადაიხადოს იმდენი, რამდენსაც საჭიროდ დაინახავს გამარჯვებული. საფრანგეთმა და ბელგიამ უნდა მოითხოვოს ომის ზარალის ანაზღაურება.

### კომუნისტური მოძრაობა ჰუნგრეთში

ჰუნგრეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა მეთაური ბულაკენი აღელვებულმა ბრბომ მოკლა.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** 7 მარ. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). დასავლეთის ფრონტი. მიუნხენის მიმართულებით ბრძოლით დავიბრუნეთ კარგოზერო. ნარვის რაიონში ესტონიის წითელმა ნაწილებმა ნარვის შესართავთან ბრძოლით რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ვოლმარის რაიონში, მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ნაწილებმა სოფლები დაიჭირა. ბობრინის მიმართულებით ბელორუსთა წითელ ნაწილებს უკან დაახევინა პოლონელთა ლეგიონერებმა.

**სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში ბახმუტის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კონსტანტინოვკა დასტოვა. მილეროვკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფლები.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** პტერლიტამაკის რაიონში ჩვენებმა სოფლები დაიჭირეს. სტრაპულის რაიონში ბრძოლის შემდეგ სოფლები დავტოვეთ. ოხანის მიმართულებით ჩვენ უკან დავიხიეთ.

**ეკატერინოსლავი.** მარ. 3. იუზოვის რაიონში მრავალ სოფლებში შეადგინეს რაზმები, რომელნიც ყაზახთა თეთრგვარდიელ ბანდებს თავს ესხმის. ლიტვიის არმიის შტაბის ცნობა. ვარკსკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია მაგრამ უკუ ვაგდეთ.

**ნაუენი.** მარ. 3. მდგომარეობა ბერლინში გამწვავდა რადგან ზღვის ქვეითი დივიზია აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. საპოლიციო სამართველოს შენობას სადაც პოლკოვნიკ რეინგარდტის ჯარი სდგას. აჯანყებულები ესვრიან. სტამბები რამოდენიმე დღეა გაფიცვა.

**ნაუენი.** მარ. 5. ბერლინში ხუთშაბათს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. ოთხშაბათიდან ვილფის ბიურომ შესწყვიტა ბიულეტენების ბეჭდვა.

**ნაუენი.** მარ. 6. ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საერთო კრება აქვს თავმჯდომარე რიხარდ მიულერმა აუწყა კრებას, რომ მუშათა პროფესიონალურ კავშირებმა დაადგინეს მიემხრონ გაფიცულებს. შესაძლებელია, რომ ელექტრონის სადგურის მუშაობა და ბერლინსა და მის მიდამოებში რკინის გზის მიმოსვლა შესწყდეს.

**ბერლინი.** თებ. 27. გამბურგში შესულმა მთავრობის ჯარმა 116 კომუნისტი დააპატიმრა ორი მოკლულია.

**ბუდაპეშტი.** 26 თებ. გაზეთ პესტერლოიდს აუწყებენ რომ ჩერნოვიცში უკრაინელები რუმინელების წინააღმდეგ აჯანყდენ რუმინიის მთავრობამ აჯანყება ჩააქრო. ჩერნოვიცში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

**ბერლინი.** მარ. 1 შვეიცარიის გაზეთების ცნობით ტოკიოში დემონსტრაციები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ მუშები და მოსწავლენი. ისმოდა: „ძირს მონარქია“.

**ბერლინი.** 27 თებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ზომები მიიღოს იარაღის ჩამოსართმევათ ჯარს და პოლიციას უბრძანეს მოახდინონ ჩხრეკა და კერძო პირებს იარაღი ჩამოართვან ირკვლევსგალეს რკინის გზის ხაზი სპარტაკელების ხელშია დანციგში, ლეიპციგში და მრავალ სხვა ქალაქებში გაფიცვებია.

**ნაუენი.** მარ. 6. ზემო-სილეზიის ქალაქებში კრებები ხდება. გამოაქვთ პოლონეთისადმი საპროტესტო რეზოლიუციები. მაგდებურგში სპარტაკელები აგიტაციას ეწევიან. გონვერში, სადაც კომუნისტებს 12000 მომხრე გამოსულები დააპირეს, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. რეინის ოლქში ვესტფალიაში სპარტაკელების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სიწყნარეა. ლეიპციგში მდგომარეობა შეიცვალა. გაფიცვის მომწყობი კომიტეტი ხელს უშლის მუშაობის დაწყებას.

**დიბენკოს შტაბი,** 7 მარტი. ბახმუტოვის მაზრაში ბულგარეთიდან დაბრუნებულნი გვიამბობენ, რომ თეთრგვარდიელები აიძულებენ სამხედრო ტყვეებს ჩაეწერონ მოხალისეთა რაზმში. უარის თქმის შემდეგ 300 კაცი ძალით წაიყვანეს. უკრაინის წითელი ნაწილები ს. დ. ბანდურკამდე პეტლიურას ჯარს სდევნიდა. პარტიზანულმა ნაწილმა ბრძოლით დაიჭირა მეჟნოვი. სად. ვოლომიონაიასთან ბრძოლის შემდეგ ტყვეთ წამოვიყვანეთ 48 გერმანელი. ჩვენი ნაწილები ნიკოლაევს 10 ვერსით დაუახლოვდენ. ნიკოლაევის სამხრეთით გერმანელებმა უკან დაიხიეს. ხერსონის მიმართულებით ბერძენთა ჯარმა შეავიწროვა წითელი ნაწილები. უკანასკნელებმა გალაგანოვკისკენ დაიხიეს. მაგრამ მალე ბერძნებს ხერსონისკენ დახევნა აიძულეს. წითელი ნაწილები ქალაქს უტევენ. თავრიდის ფრონტზე პერვოკონსტანტინოვკა ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა ჩპლინკა დაიჭირა.

### კ ლ ე მ ა ნ ს ო.

ოთხშაბათს საღამოთ კლემანსო დაესწრო „ოპერა-კომიკ“-ში „ფიგაროს ქორწინების“ წარმოდგენას. მაყურებლებმა მას ოვაციები გაუმართეს.

# თ უ შ ა ი ა

(ლეგენდა)

აუტირელი თვალები
ვნახე მე თუშის ქალისა;
მოეკლათ მთაში მიჯნური
მსხვერპლი ვერაგის ძალისა,
გულში რას გრძნობდა ასული
უხილავია თვალისა.
მე იმის გრძნობას ვერ მივსწვდი:
ცოდოსია თუ ბრალისა!

—

რომ მკვდარი ნახა სუდარით
ბაგე მოკუმა მღიმარი;
წარბები ოდნავ შეიკრა,
სახე გაცრევდა მცინარი.
დედასაც უთხრა: „ნუ სტირი,
„ვერ გაალვიძო მძინარი;
„ამისი მკვლელი აქ მოვა,
„მევე გავიგო ვინ არი!

—

ქალი არ იტყობს წუხილსა,
შვენობს მნათობის სახითა;
ცხვარს რომ გარ ეკავს საძოვრად
გზით ივლის დასანახითა;
წყლის პირას ბუჩქთან დაჯდება
მაღლით ნადენთან ფახითა;
მას უნდა მკვლელი იპოვოს
სხვა გზით, სხვა-გვარ მახითა!

—

იგი, ვით იდუმალება,
მთვარიან ღამეს იარებს;
მიჯნურის საფლავს ჩაუვლის,
გულში კი ჰფარავს იარებს.
ყრმა მის წინაშე წარდგება,
თვალი ცეცხლივით პრიალებს.
ეტყვის: „ქალაი, მიყვარხარ,
ტრფობა მწვავს, გულსაც მიალებს!“

—

„შენ რომ არ ნაღვლობ მის სიკვდილს
მე ამან გამახალისა;
უწინ შენ ჩემთვის ყრუ იყავ,
როგორც კლდე მაღალ სალისა.
მე მოძმის სისხლი დავღვარე,
შემინდე ცოდო მთვრალისა;
ხმალმა გადასჭრა მთის ძირში
ან მე ერთგული, ან ისა!
ქალმა შეჰხედა და იცნო
სატრფოს ძმად განაფიცარი.
მივიდა ახლოს ალერსით,
უთხრა: „ჩემი ხარ, გიცანი!“
მსწრაფლ ამოაძრო ხანჯალი,
გაუპო გულის ფიცარი.
— დედავ! ეხლა კი ვიტიროთ,
მკვლელს მიუტევე, ვინც არი!

სანდრო შანშიაშვილი.

### ვ ი ლ ს ო ნ ი.

ევროპაში მიმოვალ პრეზიდენტის ვილსონის გასტუმრებისას არავითარ ზეიმს ადგილი არა ჰქონია. რამდენიმე ჟურნალისტისა და ფოტოგრაფის გარდა ნავთსადგურზე არავინ იყო. ვილსონი თავის სახლობასთან ერთად გამოვიდა „გეორგი ვაშინგტონ“ ის პალუბაზე და მეგობრულად ესაუბრებოდა ოფიცრებს. დაუკრეს ეროვნული ჰიმნი. ვილსონის გემი ზარბაზნების სროლით გააცილეს.

### მ ა რ ო კ ო.

მიულჰაიზენიდან დაბრუნებულ მაროკოს მსროლელთა მეორე პოლკს ყაზაბლანკაში ფრანგებმა და ადგილობრივ მცხოვრებლებმა ოვაცია გაუმართეს.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი,** მარტის 8. ბიულეტენი პსკოვი მარტის 4. პსკოვის ტბის რაიონში ჩვენ ტროსტიანკა დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები. მარიენ ერგის მიმართულებით თეთრ გვარდიელები უკან იხევენ. პეჩორის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა სოფ. ტოპი და ბოლჩაია-ტრეზნა დაიჭირა.

**მოსკოვი,** მარტის 5. მოსკოვის გუბერნიის პროფესიონალურთა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია რეზოლიუციაში, რომელიც კომუნისტებმა წარადგინეს, ავალებს მოსკოვის პროფესიონალურ საბჭოს მოახდინოს კავშირების სასწრაფო რეორგანიზაცია, სრულიად რუსეთის 2 პროფესიონალურ საბჭოების ყრილობის საფუძველზე და მოიწვიოს ისევ ორგანიზაციის დასრულების შემდეგ მოსკოვის პროფეს. კავშირების კონფერენცია მოსკოვის გუბერნიის პროფესიონალურ საბჭოების ასარჩევათ. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ შრომის ნაყოფიერების ასაწევათ საჭიროა შრომის შეგნებული დისციპლინა და პროლეტარიატის ცალკე რაზმების ეკონომიურათ შეკავშირებულ მუშათა კლასის ნებისყოფისათვის დამორჩილება. რეზოლიუციაში მოხსენებულია თუ რა უნდა გააკეთოს რუსეთის პროლეტარიატმა წითელ სოციალისტურ არმიისათვის სურსათის დასამზადებლათ და მისაწოდებლათ. კონფერენციას მისალმა ავსტრიის კომინისტი გრუპა. კონფერენცია ერთხმათ სალამს უძღვნის მესამე ინტერნაციონალს და მოითხოვს გადასცენ ინტერნაციონალის სხვა ქვეყნის წევრებს, რომ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლით სოციალიზმისათვის.

**მოსკოვი,** 6 მარ. ორთქლმავალთა შეკეთების სრულიად რუსეთის კომისიამ მოწოდებით მიმართა ყველა მუშებს, რომ მათ ენერგია მოახმარონ ტრანსპორტის საქმეს. გააორკეცონ მუშაობა დეპოებსა და ქარხნებში, მოეხმარონ თოვლისაგან დაფარულ გზების გაწმენდაში, დაიცვან გზები და შეატყობინონ ყველა ის შეცდომები რომელსაც კომისიაში მომუშავეები ჩაიდენენ.

**პოლოცკი,** 5 მარ. მახნოს წითელი რაზმი თავრიდის გუბერნიაში წინ მიიწევს.

**მოსკოვი,** მარ. 6. ც. ა. კ. მოსკოვის დეპუტატთა საბჭოსი პროფ. კავშირების და ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის საზეიმო სხდომა შესდგა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსების აღსანიშნავათ: ყრილობა გახსნა კამენევმა, რომელმაც სთქვა, რომ მეორე ინტერნაციონალმა დაუთმო ადგილი კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელიც დაუდებს რა საფუძველს კარლ მარქსის სოციალიზმს, დაიწყებს საერთაშორისო მოქმედებას და ცხოვრებაში გაატარებს სოციალიზმს, პროლეტარიატის დიქტატურით. ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის ხსოვნის აღნიშვნის შემდეგ სიტყვა ეძლევა პირველ კომუნისტურ ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ლენინს. „ჩვენ შეგვძლით იწყებს ლენინი,—პირველ კომუნისტურ ინტერნაციონალურ ყრილობაზე თავი მოვუყარა სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის, ნება მოგვეცით გაზეთის მკითხველებს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ მეტი მეგობრები გვყავს, ვიდრე ამას სხვები ფიქრობენ. საფრანგეთის სოციალ-შოვინისტების გაზეთ „ჰუმანიტე“ ათავსებს პარიზის მუშათა წარმომადგენლების კრების ანგარიშს, სადაც ბოლშევიკების მოწინააღმდეგეს არ მისცეს ლაპარაკის ნება.

**მოსკოვი,** იტალიის სოციალისტური გაზ. „ავანტი“ ათავსებს იტალიის პროვინციულ ქალაქის მუშათა რეზოლიუციას, სადაც მიიღეს სპარტაკელების და ბოლშევიკების პროგრამაში. ჩვენ შევქმენით საბჭოთა ფორმულის იდეა, რომელიც მთელი მუშების ლოზუნგათ გადაიქცა. კომუნისტური ინტერნაციონალი გვიჩვენებს, რომ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია. მიუხედავად ყველა დაბრკოლებებისა და აუცილებელ მსხვერპლისა დამსწრენი საერთაშორისო კონფერენციაზე დარწმუნდებიან, რომ არსებობს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა.

ლენინის შემდეგ გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ალბერტმა განაცხადა რუსეთის მუშებს სპარტაკელების სალამი, რომელნიც მოულოდნელათ ადევნებენ თვალყურს რუსეთის რევოლიუციას და რომელნიც ცდილობენ მებრძოლთა რიგში ჩადგომას. ჩვენ ვებრძვით შეიდემანელებს და ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ. მე გადავცემ—ათავებს ალბერტი, გერმანიის პროლეტარიატს, რომ თქვენ სწორ გზაზე მიდიხართ, რომელზედაც ის უნდა დადგეს. ალბერტის შემდეგ ილაპარაკა დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიების ყველა წარმომადგენლებმა. სიტყვა წარმოსთქვეს გილბოს, პლატენმა, როტბერსმა, გრინლუნდმა და გრებერმა. სხდომის ბოლოს ილაპარაკეს ზინოვიევმა და ტროცკიმ. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია მოსკოვის საბჭოს ც. ა. რუსეთის კომ. პარტიის მოსკოვის კომიტეტის სრულიად რუსეთის მოსკოვის პროფ. კავშირების და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შეერთებულ სხდომა, რომელიც შეიკრიბა კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსების ისტორიულ დღეს, მილიონ მუშების და გლეხების სახელით რომელთაც დაამხეს მეფე და ბურჟუაზია და ძალა-უფლება თავის ხელში აიღეს, მიესალმება გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ამერიკის, შეერთებულ შტატების, სამხრეთ-სლოვიანეთის, ნორვეგიის, ბალკანეთის, ფინეთის, პოლონეთის, უკრაინის, ლატვიის, სომხეთის, ლიტვის, ბელორუსიის და ესტლიანდიის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლებს, რომელნიც პირველი ახალი ინტერნაციონალის ყრილობაზე დასასწრებლათ მოსკოვში ჩამოვიდნენ. ყრილობა ძმურ სალამს უძღვნის მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, რომელნიც კაპიტალისტურ მონობის წინააღმდეგ იბრძვის მშრომელთა განთავისუფლებლათ. საბჭოთა რუსეთის სახელით ყრილობა მიესალმება კომუნისტურ ინტერნაციონალს, როგორც მსოფლიო პროლეტარისტულ რევოლიუციის მომწყობს და ხელმძღვანელს და იმედს გამოსთქვამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალის დიქტატურას დაამხობს.

**მოსკოვი,** ყრილობა მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს სოციალიზმისთვის ბრძოლაში შეერთდეს „გაუმარჯოს კომუნისტურ სოციალიზმს“, „გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას“.

**მოსკოვი,** მარტის 6. მესამე კომუნისტურ ინტერნაციალის პირველ კონფერენციამ გამოუშვა მთელი ქვეყნის მუშათა მიმართ მანიფესტი.

**მოსკოვი,** მარტის 6. უკრაინის საბჭოთა მთავრობამ მარტის 4, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რადიოთი აუწყა რომ უკრაინის მთავრობა მნიშვნელობა დაკარგულათ სთვლის ყველა დავალებებს, რომელიც გერმანიის მთავრობამ მისცა დირექტორიას და უკრაინის წარმომადგენლებს და სხვათა პირთ გერმანიაში და რომ უკრაინის წარმომადგენლათ გერმანიაში ინიშნება კარლ-რადეკი, რომელიც ამ ჟამათ გერმანიაში დაპატიმრებულია.

### დ ი ბ ე ნ კ ო

ეკატერინოსლავში ჩავიდა დიბენკო ორი-ათას საზღვაო რაზმის ხელმძღვანელი.

## სოფლის მეურნეობისაგან

სამეურნეო საზოგადოების ერთ ოთახში რამდენიმე კაცმა მოვიყარეთ თავი. მიზანი ჩვენი კრებისა იყო მოწყობა საბოსტნე თესლეულობის საქმისა აქამდის თესლეულობას ვიღებდით შვეციიდან, იტალიიდან, რუსეთიდან; დღეს კი საშუალება არა გვაქვს მივიღოთ იგი ამ ქვეყნებიდან. მაშასადამე დავრჩით ჩვენი თავის იმედით. მეტი ღონე არ არის ჩვენვე უნდა მოვაწყოთ ეს საქმე. და აი თითო ჩვენ მეურნეთაგანი ვკისრულობთ მოვიყვანოთ ბოსტნეულის თესლი. ასე რომ ერთი მეურნე მოიყვანს ტომატის თესლს, მეორე კომბოსტოს, მესამე კიტრს და ასე იმ პირობით, რომ მას, მეურნეს, რომელსაც დაევალება ერთი ჯურის კომბოსტოს მოყვანა, უფლება არ ჰქონდეს სხვა ჯიშის თესლი კომბოსტოსი გააჩინოს თავის მეურნეობაში. ეს იმიტომ, რომ არ მოხდეს თესლის აღრევა ყვავილობის დროს. ამიტომ დავაწესებთ სასტიკ კანტროლს და პასუხის გებას. ვისჯელეთ თუ სად და როგორ მოვაწყოთ საწყობი თესლეულობისა, როგორ გავავრცელოთ ხალხში, როგორ მოვიჩვიოთ მუშტარი და შეუდგით სიის შედგენას.

— აბა, ბატონებო, ჩამოთვალეთ ცნობილი მეურნეები, ვის რა დავაკისროთ. დავიწყეთ გორის მაზრიდან: ს. ქურთაში მეურნეობა სანდრო მაჩაბლისა.—მაგრამ ეს მეურნეობა დიდი რევოლუციის დროს 1918 წლის გაზაფხულზე დაზარალდა. ს. თამარაშენში ვასილ მაჩაბლის მეურნეობა.

— ეს მეურნეობა სულ განადგურდა. ს. ავლევში კ. ამირეჯიბისა—ესეც მოისპო. ს. წვერში კ. კალატოზიშვილისა—დაზარალდა.

ს. ხვედურეთში ივანე ციციშვილისა განადგურდა. ს. კარალეთში მ. ერისთავისა ესეც განადგურდა. და ასე ამ გვარად ოცამდის ცნობილი კულტურული მეურნეობა ამოჩნდა განადგურებული. ჩვენ ერთმანეთს ნაღვლიანად შევხედეთ და თავები დავკიდეთ. წარმოგვიდგა სახლ-კარი გავერანებული, ღობეები შემოძარცული, ხეხილის ბაღები გაჩეხილი და განადგურებული. აღმოჩნდა, რომ ორიათას ძირამდის ფუტკარი ევროპიული სისტემისა დაუნელებიათ.

ღმერთო ჩემო, რავდენი წლის გონივრული მუშაობა მოისპო. მერე როგორ პირობებში გაკეთდა ყველა ეს. არსაიდან დახმარება, არც საზოგადოებიდან, არც მთავრობიდან. ისე, დიდის ცდით, შეუდგარი მუშაობით ოციოდე წლის განმავლობაში ქართლში აღორძინდა სამაგალითო საქმე. ქართლი ქონებრივი განვითარების, გაღონივრების გზას დაადგა.

1913 წლის სამეურნეო გამოფენაზე ქართლმა გაიმარჯვა, კეთილ-შობილურ შეჯიბრებაში დასრჩილა სხვა კუთხეები საქართველოსი და მთელი კავკასიისა. ვისი წყალობით? მათი, წეღან რომ ჩამოთვალეთ.

არ გახსოვთ დ. ციციშვილი, გამხდარი სასიამოვნო სახის მოხუცი, გამოფენაზე რომ ღიმილით უჩვენებდა საზოგადოებას ექსპონატებს: ხილის წვენისაგან გაკეთებულ ჩურჩხელებს, ტყლაპებს, ჩირსა, ხილის მუშმუნა წყლებს? ხალხი იტაცებდა იმის ხილს, სავაჭრო ფარდული გამოფენისა ვერ ასდიოდა გაყიდვას იმის ნაწარმოები-

# რას სწერენ გაზეთებში

## „ერთობა“ (სოც.-დემ.)

### დემოკრატია და სახელმწიფო

ყოველ ლოზუნგს თავის მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, თუ რას ემსახურება იგი. მაგრამ ობიექტიური შინაარსი და შედეგი ლოზუნგისა იცვლება გარეშემორტყმულ პირობების მიხედვით. . . . . . . . .

აქ საყურადღებო ისაა, რომ სიტყვები—ერთი დემოკრატიული ფრონტი—დღეს შინაარსითაც განსხვავდება წინანდელისაგან. წინეთ ეს იყო შეერთება ყველა დემოკრატიული ძალების რუსეთის საზღვრებში, დღეს ეს არის შეერთება ყველა სახელმწიფოების, რომელიც რუსეთის საზღვრებში აღმოცენდენ.

და ახლა ამ მეორე მისწრაფებასაც დემოკრატიული ფრონტის გაერთიანება დაარქვეს, რათა რევოლუციის სახელით დაფარონ სრულიად არა რევოლუციური მისწრაფებანი.

განვიხილოთ რაშია საქმე.. . . .

დავასაბუთოთ ეს დებულება: ჩვენ ასე ვმსჯელობთ: რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენა თავისთავად კიდევ არ არის მუშებისთვის ბედნიერება. თუ ეს იქნა დენიკინის ხმალის შედეგი დიდი უბედურებაც იქნება.

მაშასადამე ჩვენ გვინდა არა მხოლოდ აღდგენა, არამედ აღდგენა დემოკრატიული რუსეთის, ე. ი. აღდგენა დემოკრატიული წყობილების მთელი რუსეთის ტერიტორიაზე.

მაგრამ განა ამისთვის საჭიროა იმ თაზისების დანგრევა, სადაც ეს მიზანი—დემოკრატიზმი—უკვე განხორციელებულია? რასაკვირველია, არა.

პირიქით, საჭიროა სხვაგანაც ასეთივე დემოკრატიზმის გაბატონება.

ამ რიგათ ბრძოლა საჭიროა არა ახლად აღორძინებულ დემოკრატიულ რესპუბლიკების წინააღმდეგ, არამედ დენიკინების შავი ძალების შესამუსრად და ამ ბრძოლაში საქართველოს, თუ სხვა დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ხელშემშლელ ძალად არ იქნება, პირიქით, ხელის შემწყობ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გაერთიანება დემოკრატიულ ფრონტის შეიძლება, მაშასადამე, იდეურ ნიადაგზე—ესაა ნიადაგი დემოკრატიულ პროგრამის, და არა დამოუკიდებლობის, თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანების.

ამით ადგილობრივი მუშების ინტერესების სავსებით შეუთანხმდება მთელი რუსეთის მუშების ინტერესებს და ნაციონალიზმის ნაცვლად კვლავ წინ წამოდგება კლასიური სოლიდარობა, რაც ერთად ერთი თავდებია მუშათა გამარჯვების.

## „სახალხო საქმე“ (ს.-ფ.).

### „მთიელთა რესპუბლიკა“.

აქამდე იყო ებრძოდა ბოლშევიკებს ეხლა მას უხდება ბრძოლა დენიკინის შავ რეაქციასთან. ზედმეტია ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ რამდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანია თუ ვინ იბატონებს კავკასიის ქედს გადაღმა — თავისუფალი მთიულნი თუ დენიკინის რაზმები. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით შევხვდით საქართველოს მთავრობის ნოტას ყველა უცხო სახელმწიფოსადმი. სადაც საქართველო პროტესტს აცხადებდა იმ მოთხოვნილებათა გამო დენიკინმა რომ წარუდგინა მთიელებს და რომელსაც მიზნად ჰქონდა მოსპობა მათი დამოუკიდებლობისა. სასიამოვნოა აგრეთვე ის, რომ ჩვენმა ღარიბმა ხაზინამ მოახერხა და ასესხა მთიელთა რესპუბლიკას სამი მილიონი მანეთი.

ვიმეორებთ კავკასიის ერების ძალა და მომავალი მათ ერთობისა და თანხმობაზეა დამოკიდებული ბოლშევიზმი და დენიკინი ერთმანეთს დაუნდობლად ებრძვიან, მაგრამ მიზანი არსებითად ერთნაირი აქვთ. ამ მხრით საგულისხმოა ის სიტყვები, ლენინმა რომ წარმოსთქვა: მე სრულიად ვეთანხმები ლოზუნგს გაერთიანებული, დიდი განუყოფელი რუსეთი, ხოლო ვუმატებ ერთს სიტყვას „საბჭოთა რუსეთი“. თუ ასეა, ყველა იმ ერებს, ვისაც გვინდა ეროვნული დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ დაახლოება უეჭველად გვმართებს ერთად ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ და სოციალური შემოქმედების განვითარება ერთს ფარგლებში, რადგან ერი წარმავალი და უმრავლო მოვლენა არ არის. დაე ნაბიჯი საქართველოს მთავრობისა იყოს დასაწყისი ამ დაახლოვებისა და ურთიერთობის ნდობა დახმარებისა.

—

## „ბორბა“ (ს.-დემ.)

სოც.-დემოკრ. რუსული გაზეთი ეხება და შემდეგ მეთაურს უძღვნის სომხეთ-საქართველოს ურთიერთობას:

ის პოზიცია, რომელიც საერთაშორისო კონფერენციაზე დაიჭირა სომხურმა დელეგაციამ ნუბარ-ფაშის მეთაურობით, და რომელიც უსათუოდ მიმდინარეობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ნორმალურ განწყობილებათა დამყარებისაკენ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც სომხურ, ისე ქართულ წრეებში; ეს გავლენა უმთავრესად პრესსის ტონს ეტყობა. ორივე მხარის ნაციონალისტური პრესსაც კი, რომელნიც ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანეთზედ მხოლოდ კბილების ღრჭენით თუ ლაპარაკობდნენ, უცბად დარბილდნენ და უმალ უცბად ალაპარაკდნენ იმ ენით, რომელიც ჰქმნის შესაძლებლობას ორივე რესპუბლიკათა შორის საერთო ენა რომ მოიძებნოს.

მთავარი, დამახასიათებელი მხარე ნუბარ-ფაშის პროგრამისა მდგომარეობს იმაში, რომ სომხეთმა უნდა ააშენოს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება, არა თავის მეზობლების ხარჯზედ ამიერ-კავკასიაში, არამედ იმ ტერიტორიის ხარჯზედ, რომელიც დასახლებულია ოსმალეთის სომხებით.

მინიმალური მიდრეკილება ჩრდილოეთით, მაქსიმალური დათმობის საქართველოსადმი, ოღონდ კი ამ დათმობის სამაგიეროთ შეიძინონ ის კეთილმეზობლური განწყობილებანი, ურომლისოდ შეუძლებელია ამ ორივე სახელმწიფოს არსებობა.

სომხეთის ყველა ძალთა სამხრეთისაკენ მისწრაფება, რომ რამდენადაც შეიძლება გაერთიანდნენ სომეხთა უმრავლესობით დასახლებულნი ყველა ოსმალური ოლქები—აი ის დებულებანი ნუბარ-ფაშის პროგრამისა, რომელნიც სავსებით მისაღები და სასურველნი აღმოჩნდნენ ორივე მხარისათვის და რომელნიც იწყებენ გაფანტვას მტრობისა და უნდობლობის მძიმე ჰაერს, რომელიც უკანასკნელ ხანებში შექმნილი იყო საქართველოსა და სომხეთს შორის...

—

## „ნაროდნოე ზნამია“ (რუს. სოც.-რევ.)

რუს „ესერების“ ორგანოც უძღვნის მეთაურს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობას და შემდეგს სწერს:

ამიერ-კავკასიის საერთაშორისო პოლიტიკა კიდევ დიდ რყევას განიცდის.

იმისდა მიხედვით, თუ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის მსვლელობაში, ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი რა ავანსს მისცემს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მათს ცნობა არ ცნობის საკითხში. ამიერ-კავკასიის ჰორიზონტიც ხან იღრუბლება, ხან კაი დარი უდგება; ამ გარემოებას საგრძნობლად ხელს უწყობს ამიერ-კავკასიის მართველ წრეების მერყევი პოლიტიკა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ „დღეს შავია, ხვალ რუხი; მართალია, როდესაც ამიერ-კავკასიის საერთაშორისო პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც უკავია სომხეთს გერმანულ იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ; მაგრამ შემცდარი ვიქნებოდით, რომ გვეფიქრა, რომ სომხეთის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცე იყოს, ან შესაძლებელი იყოს მისი განხილვა საერთოდ ამიერ-კავკასიის ბედის გარეთ. პირიქით, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, მიუხედავად მათდამი მფარველობითი მოპყრობისა, მოკავშირეთა მხრით, მასაც მოუხდება ყველა იმ რყევათა განცდა, რომელნიც საერთოდ ამიერ-კავკასიის ბედს უწერია.

ეს რყევანი კი, ბუნებრივად გამომდინარეობს საერთოდ, მოკავშირეთა პოზიციის გაურკვევლობისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ თავისი დამოკიდებულება, როგორც რუსეთთან თუ მის ტერიტორიაზედ შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. გასაგებია, რომ ესეთი განწყობილება განსაკუთრებულ ვალდებულებას უსახავს ამიერ - კავკასიის დიპლომატიურ წრეებს და ითხოვს მათგან მტკიცე და გარკვეულ ხაზს ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესების დასაცავად, რადგან რომელიმე მათგანის ბედის არა სასურველად გარდაწყვეტა, ფრიად საშიშო შედეგებს დაუსახავს სხვებსაც. ამ მდგომარეობას, როგორც სჩანს, ნაციონალისტური წრეებიც კი გრძნობენ და ესენიც მოუწოდებენ საერთაშორისო ხაზის გასარკვევად. და ეს უკანასკნელი მდგომარეობა, იქნებოდა განსაკუთრებით სასურველი.

ეს ერთიანობა საგარეო პოლიტიკასა, ამიერ - კავკასიის რესპუბლიკათა „სუვერენობის“ დაურღვევლად, გაცილებით მეტს გარანტიას მისცემს მათს არსებობას, ვიდრე მათ დღემდე ჰქონდათ.

—

## „კავკაზსკოე სლოვო“

სომხური ბურჟუაზიის ორგანოსაც მოსწონს იდეა სომეხ-ქართველთა დაახლოვებისა, რასაც აუცილებლად სთვლის ორივე ერთა სახელმწიფოებრივი არსებობისათვის.

მაგრამ—სწერს გაზეთი—სომხებს და ქართველებს, როგორც ერებს, რომელსაც აქვთ ერთიანობა კულტურული, ისტორიული და რელიგიური ტრადიციები, ფართოდ გადახლართული პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით, არ შეუძლიათ იმედი ჰქონდეთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების რამდენათმე მაინც ნორმალურ მსვლელობისა, იმ დონემდე, ვიდრე ერთმანეთში არ გამოარკვევენ ყველა სადაო საკითხებს და არ დაამყარებენ გამძლე „modus“, საკმაოთ მტკიცეო იმისთვის, რომ დამოკიდებული არ იქნეს პოლიტიკური ბარომეტრის რყევისაგან. მხოლოდ ესეთი „modus“-ის განმტკიცების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, ამიერ-კავკასიის ყველაზედ უფრო კულტურულ მხარეში წესიერებისა და მშვიდობიანობის აღდგენაზე.

მეორე მხრით, ჩვენ აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ დარბილება მწვავე საკითხების ქართულ-სომხურ დამოკიდებულებაში, შეიძლება არა მარტო ლამაზი, მაგრამ რეალურ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვებით, ძმობაზედ და ერთა სოლიდარობაზედ, არამედ სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკის მართლა მობრუნებით იმ მხრით, საითკენაც ისპობა ერთმანეთში შეხლა-შემოხლა და მოისპობა ის სრულებით უქმი, მაგრამ ამ ღელვებელი შევიწროებანი, რომელთაც განიცდიან მშვიდობიანი მოქალაქენი.

ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი ყურადღების ღირსია, ეხლახან დასრულებული სომხეთ-საქართველოს კონფერენცია რომელიც, უსათუოდ ღირსია მისალმებისა, როგორც პირველი ნამდვილი ცდა ერთმანეთისადმი დაახლოვებისა...

---

სას, კასირმა მთელი დასტა ჩეკებისა გვაჩვენა, ეს სულ ციციშვილისა არისო. დღეს ჩვენ მეურნეებმაც კი არ ვიცით სად არის პატიოსანი მოხუცი.

წარმოშიდგა თვალ-წინ უდიდესი ფარდული, მიჩენილი გორის მაზრისათვის, ყაფაზები გაჭედილი საუცხოვო მრავალ-გვარი ხილით, კონსერვებით, ჩირებით, მურაბებით, ხილის წყლებით და ბადაგებით და სხვა და სხვა. ყველა ეს სომ ჩვენი იყო, ყველა ეს ხომ ქართველების სიმდიდრე იყო, მაგალითი ხალხის დაწინაურებისა. მხოლოდ ავადმყოფი, გონება დაკარგული თუ შეხედავს გულგრილად ეროვნულ სიმდიდრის განიავებას...

ეხლა, ეხლა ყველა დაინტერესებულია საქმიანობით. ყველა, ვისაც კი თავის დღეში არაფერი გაუკეთებია, არაფერი აუშენებია, ეხლა ცდილობს შენობის დაწყებას. ალბად მიხვდნენ, რომ მარტო ცალიერი ლაყბობა არ კმარობს.

აი ჩვენგანი ერთი კიდეც მიიწვიეს ფერმის მოსაწყობად, რჩეული მეწველი საქონელი უნდა შეიძინოს. მშვენიერი ფერმა ჰქონდა მას. დაუნგრიეს ორასი საუკეთესო მეწველი ძროხა წაართვეს, სოცადი საქონელი სხვა იყო, მაშინები დაულეწეს, ათასი ფუთი ყველი და კარაქი წაიღეს, ორმოცი სკა ფუტკარი დაუნელეს. მიმართა სადღაც არს, შესთხოვა ხალხისათვის მაინც შეინახეთ, მოუარეთო. თითქოს ისინიც შევიდნენ იმის მდგომარეობაში, შეიძრნენ, შეატყობინეს სამაზრო კომისარს. მაგრამ იცით რა პასუხი მისცა კომისარმა?—ჩვენ ორგანიზაციას იქ არაფერი საფრთხე მოელის და მაგ ერთი კაცისათვის რა თავს გავიცხელებთო.., ეჰ, მოვიშოროთ მწარე ფიქრები შეუდგეთ საქმეს. ხელახლად დავიწყოთ.

მ. თაქთაქიშვილი.

---

[illegible]

### ქ. გორი

ქართველი ინტელიგენცია სიმშილს განიცდის: მაგრამ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში კი სახალხო სკოლების მასწავლებელნი არიან; ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ეს მუშაკები იმყოფებიან!

ვინ არ იცის, რომ მხოლოდ ძველ დროს ეს ხალხი ცხოვრობდა სოფლად საქართველოს მიყრუებულ ხეობებში, ყოველივე სიხარულს და სიამოვნებას კულტურულ ადამიანისას მოკლებულნი და ილწოდნენ ხალხისათვის, ასწავლიდნენ უკანასკნელს წერა-კითხვას, უნაწილებდნენ ხალხს თავის გონებრივ სალაროდან საზრდოს, ეწინააღმდეგებოდნენ რუსულ ბიუროკრატიულ სასკოლო მთავრობას; ბევრი, ძალიან ბევრი იმსხვერპლა ამ წინააღმდეგობამ, ბევრი მოსწყდა თავის საყვარელ საქმეს რუსიფიკატორ ინსპექტორების წყალობით და მეოხებით.

სცხოვრობდნენ ეს მუშაკნი ოცდაორვა მანეთით თვეში, ითმენდნენ ყოველივე გაჭირვებას, ითმენდნენ შევიწროებას და სცოცხლობდნენ იმ იმედით, რომ მოვა დრო, სანეტარო დრო თავისუფლებისა, თანასწორობისა, სიმართლის ბატონობის. ეს იდეალი და მისი მოლოდინი ბევრს ასულდგმულებდა, ათმენინებდა სიცივეს, შიმშილს, სიტიტვლეს, დამცირებას და სხვა ათას გაჭირვებას.

ითმენდა, შრომობდა და ელოდა!

დაიწყო რევოლიუცია, დაინგრა ძველი წეს-წყობილება, იფიქრეს ეხლა-კი ჩვენც გაგვითენდა.

ითმენდნენ და დეპეშებს ჰგზავნიდნენ ჯერ პეტრეს ქალაქსკენ „მთლიან რუსეთის დემოკრატიულ ფრონტის დროს“ მანუილოვთან.

მერე „მთლიან ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ ფრონტის“ ჟამს შახტახტინსკისთან.

ბოლოს „იძულებით“ შექმნილ საქართველოს დამოუკიდებლობისას ლასხიშვილის სამინისტროში.

არავინ მიაქცია მათ მდგომარეობას ყურადღება, არავინ დააფასა ის.

რევოლიუციონური და დემოკრატიული მთავრობანი რუსეთის, ამიერ-კავკასიის, საქართველოსი სხვებს უმატებდნენ ჯამაგირს, უუმჯობესებდნენ მდგომარეობას, სახალხო მასწავლებელი-კი არავის ახსოვდა.

იმ ჯამაგირსაც კი, რომელიც ეკუთვნოდათ და ესოდენი მცირე იყო, ვერ იღებდნენ წესიერად; თვე და სამ თვეში ერთხელ ეღირსებოდნენ გროშებს. ბოლო დროს კი მეტის-მეტად დაიგვიანა მთავრობამ. რამდენიმე თვის ჯამაგირი არ მისცა. მიზეზებს სხვა და სხვებს ასახელებდა.

ითმენდა სახალხო მასწავლებელი...

ითმენდა, მაგრამ ერთი თქმულებისა არ იყვეს ყველას აქვს ბოლო და დასასრული; მასწავლებლის მოთმინების ფიალაც აივსო...

ველარ მოითმინა მასწავლებელმა სიცივე, სიმშილი, სიტიტვლე, დამცირება და გამოაცხადა გაფიცვა.

მეტი საზღვარი არ აქვს!

ერთი კვირაა სახალხო მასწავლებელნი გორის მაზრაში გაფიცულნი არიან.

სკოლების კარები გამოკეტილია. ამ დროს ალბათ მთავრობა ანგარიშობს: სწავლა-ცოდნის სხივები ჰფინებიან მთელ საქართველოსაო!

გაფიცულნი კი ელიან მთავრობისაგან ან ხვედრ ფულს, ჯამაგირით დაკმაყოფილებას, ან გამოცხადებას, რომ ისინი დემოკრატიულ მთავრობას მიაჩნია ზედ მეტ ბარგად და ამიერიდან თვის მოვალეობიდან თავისუფალნი არიან.

მასწავლებელნი ელიან პასუხს.

ხოხო.

## ნიკოლოზ მეორის მკვლელობა

ეს მაშინ, როცა ჩემ 150 ამხანაგებიდან, (მათ შორის ბევრი ლიცეისტი იყო) ყველა დახოცეს, მე თავისუფლება მივიღე 15 დღით ადრე სანამ ქალაქს ჩეხო-სლოვაკები აიღებდნენ. სამეფო ოჯახი სიკვდილს მისცეს თიბათვის პირველ რიცხვებში.

გამოძიებას აწარმოებდა ომსკის მთავრობის მოსამართლე მე დაწვრილებით შევკრიბე ცნობები მეფის უკანასკნელ დღეებზე. მისი ცხოვრება ყოფილა მეტად მძიმე, საშინელი უხეშად.

ტობოლსკიდან მოსვლის შემდეგ მთელი სამეფო ოჯახი გადარეულივით იყო, ყველა მათგანი ავადმყოფობდა, ყველა ნერვებ აშლილი იყო, მხოლოდ მეფე იყო წყნარად. მისი ფიქრი იყო მარტო თუ რა ჰხდება რუსეთში. მეფე და მისი ოჯახი ჯერ ჩაკეტილი იყო კერძო სახლში პირველად მათ ნება ჰქონდათ დღეში 15 წუთი ესეირნათ მალე ისიც აღკრძალეს.

დაუდგათ საშინელი ჟამი, უბედურობისა და განწირულობისა. ბოლშევიკები ძალად უწონდნენ საჭმელს და ყოველნაირ სურსათს. სიკვდილი ახლო იყო და ისიც მოვიდა, მაგრამ შემაზარი...

წარმოიდგინეთ ბნელი ტალანი რომელშიც 35 ნაბრძანით ნატყვიარი და უმრავი ნაჩხვლეტი. სისხლი, შე-[illegible]

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ. 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დღ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დილ. 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილ. 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

[illegible]


## წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილის

[illegible]

ვღებულობ კანცელარიის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, [illegible] სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. [illegible] კავშირის გვერდით.

24—114 20

პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული

გ ა ზ ე თ ი

„საქართველო“

1919 წ. [illegible]

გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 135 მან.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5.) [illegible]